



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №107

2013 წლის 24 ივლისი  
ქ. ქობულეთი

#### ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის 16 ივლისის №01-10/3289 მომართვის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 98974.0 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.07.266);

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთაქ კომისიის თავმჯდომარეს (დ.ინაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი

№	მისამართი	შენობა- ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჭყვისთავი	636.5	2113	20.34.01.001
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზენითი	405	405	20.35.01.001
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა	616	1004	20.38.02.010
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა აჭყვა	219.1	2120	20.47.02.068